



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N 11**

ქ. ლანჩხუთი

17. 11. 2016 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე, ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე, ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე, ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო მიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ განსახილველად შემოვიდა რამდენიმე ახალი პროექტი, რომელიც დამატებული აქვს დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი დამატებულ საკითხებთან ერთად:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

3. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული გიორგი ლომაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

4. „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთის სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

5. „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი წყალწმინდის სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

6. სხვადასხვა

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების დამტკიცებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის საკითხზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 29 ნოემბერი, 11 საათი.

მომხრე 14 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 14 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ საჯარო

რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ნუმერაციის პროცესი ერთიან სამართლებრივ ჭრილში მოექცა. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ადგილობრივი თვითმმართველობების ნაცვლად, განახორციელებს გეოგრაფიული ობიექტებისთვის სამისამართო ნუმერაციის მინიჭებას, ამიტომ საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებაში ცვლილებების განხორციელება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელამემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 14, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის

ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურისათვის ფუნქციების დამატებით, რაც გულისხმობს თანამშრომლების მიერ დამატებითი სამუშაოს შესრულებას. აღნიშნული საპილოტე პროგრამა ითვალისწინებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების გამგეობებს შორის ძირეულ თანამშრომლობას. კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ მიწის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე წამოდგენილ ნაკვეთისა და ფაქტიურ ნაკვეთს შორის იდენტურობის დადგენასა და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის საჭირო სპეციალური ოქმების მიწოდებას რაც საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაოა, მოიცავს უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერებასა და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის საჭირო სპეციალური ოქმების შევსებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნული სამსახურის ქონების მართვის განყოფილებაში „წამყვანი სპეციალისტი“ შეიცვალოს „მთავარი სპეციალისტით“ და განყოფილების მთავარი სპეციალისტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 2 (ორი) ერთულით.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ რადგან აღნიშნული საპილოტე პროგრამიდან გამომდინარე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურს ფუნქციები გაეზარდა, უმჯობესი ხომ არ იქნება აღნიშნული სამსახურის საშტატო განაკვეთს დაემატოს „მთავარი სპეციალისტის“ შტატი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ის ეთანხმება საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარეს, ალექსანდრე მახათაძეს და შესაბამისად კომისიაში იმსჯელებენ გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურში საშტატო განაკვეთის გაზრდის შესახებ.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 14 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული გიორგი ლომაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 08 ნოემბერს MES81601338601 წერილით მომართა ქალაქ ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, რომლის თანახმადაც სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ განიხილა და მიიღო წინადადება ლესის საჯარო სკოლისათვის 2004 წლის აგვისტოში ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს დაღუპული გიორგი ლომაძის სახელის მინიჭებაზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული გიორგი ლომაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 14, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთის სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ სუფსის მაჟორიტარი დეპუტატის, ჯუმბერ ბლაგიძის მიერ საკრებულოში შემოვიდა 2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთის სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმა, რომელიც მომზადებულ იქნა ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისგან დაფინანსებული პროექტის „თანამშრომლობა გურიის სანაპიროს მდგრადი განვითარებისთვის“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტის ზოგადი მიზანია გურიის რეგიონის შავი ზღვის სანაპირო ზონის დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება საშუალო ვადიან პერსპექტივაში ადგილობრივი თვითმმართველობების, აგრეთვე მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით და ძალისხმევით ადგილებზე სამოქალაქო საზოგადოების პოტენციალის ზრდის შედეგად.

საქართველოში, გურიის რეგიონის სანაპიროზე მდებარე გრიგოლეთის თემის (სუფსის ტერიტორიული ერთეული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) მოსახლეობის მიერ არჩეულმა სამუშაო ჯგუფმა წინამდებარე გეგმის ჩამოყალიბება 2016 წლის იანვარში დაიწყო ექსპერტებისა და ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით. თავდაპირველად ჩატარდა თემის სოციალური გამოკითხვა იმის დასადგენად, თუ ვინ ცხოვრობს ამაჟამად გრიგოლეთში, როგორია საცხოვრებელი პირობები, შემოსავლის ტიპური წყაროები და როგორ აღიქვამს მოსახლეობა საკუთარი ცხოვერების სტილს და სამომავლო შესაძლებლობებს. ამავე დროს შეგროვდა, გაანალიზდა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის (გ.ი.ს.) რუკების დახმარებით თვალსაჩინოდ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი ადგილების შესახებ.

პროექტის ფარგლებში, გარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებისა, ჩატარდა ასევე ფოკუს ჯგუფები, სადაც თემის ოცამდე წარმომადგენელმა და გადაწყვეტილებების მიმღებმა პირმა(მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პედაგოგებმა, ფერმერებმა თუ ბინჯნესმენებმა) იმსჯელა გრიგოლეთის მომავალთან დაკავშირებით მათი ხედვისა თუ მოსაზრების შესახებ. ამ ძალზე ინტერაქტიულ შეხვედრაზე ჩამოყალიბდა ე.წ. SVOT ანალიზი, სამომავლო განვითარების ხედვის და პრიორიტეტული მიზნების ჩამონათვალი.

სამომავლო გეგმებში, სხვა ქმედებათა შორის, ხაზგასმით აღინიშნა ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების და მუნიციპალური (სათემო) ინფრასტრუქტურით უკეთესი უზრუნველყოფის აუცილებლობა. ცხადი გახდა, რომ სოფლის მოსახლეობა კარგად აცნობიერებს არსებულ სირთულეებს და იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აუცილებელია სანაპიროს ამ რეგიონში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ტურისტული პოტენციალის ასამაღლებლად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **ია ჩხაიძე** აღნიშნა, რომ კვლევების ჩატარებისა და შესწავლის შემდეგ მოხდება იმის აღიარება, რომ გრიგოლეთის ქვიშა თავისი შემადგენლობით არის უნიკალური და ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასიკეთო, რასაც მოჰყვება გრიგოლეთის საკურორტო ზონად გამოცხადება, შესაბამისად განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები და ადგილობრივ მოსახლეობას გაეზრდება შემოსავლის წყარო, რაც თავისთავად მუნიციპალიტეტისთვის დიდი სარგებლობის მომტანი გახდება. მისი აზრით, აღნიშნული გეგმის წარმოდგენა არათუ დროული, არამედ დაგვიანებულიც კია.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთის სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 14, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ღრმადელის მაჟორიტარი დეპუტატის, თეიმურაზ მარშანიშვილის მიერ საკრებულოში შემოვიდა 2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმა, რომელიც მომზადებულ იქნა

ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისგან დაფინანსებული პროექტის „თანამშრომლობა გურიის სანაპიროს მდგრადი განვითარებისთვის“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტის ზოგადი მიზანია გურიის რეგიონის შავი ზღვის სანაპირო ზონის დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება საშუალო ვადიან პერსპექტივაში ადგილობრივი თვითმმართველობების, აგრეთვე მოსახლეობის უშუალო მონაწილეობითა და ძალისხმევით ადგილებზე სამოქალაქო საზოგადოების პოტენციალის ზრდის შედეგად.

საქართველოში, გურიის რეგიონის სანაპიროზე მდებარე წყალწმინდის თემის (ღრმადელის ტერიტორიული ერთეული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) მოსახლეობის მიერ არჩეულმა სამუშაო ჯგუფმა წინამდებარე გეგმის ჩამოყალიბება 2016 წლის იანვარში დაიწყო ექსპერტებისა და ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით. თავდაპირველად ჩატარდა თემის სოციალური გამოკითხვა იმის დასადგენად, თუ ვინ ცხოვრობს ამჟამად წყალწმინდაში, როგორია საცხოვრებელი პირობები, შემოსავლის ტიპური წყაროები და როგორ აღიქვამს მოსახლეობა საკუთარი ცხოვრების სტილს და სამომავლო შესაძლებლობებს. ამავე დროს შეგროვდა, გაანალიზდა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის (გ.ი.ს.) რუკების დახმარებით თვალსაჩინოდ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი ადგილების შესახებ.

პროექტის ფარგლებში, გარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებისა, ჩატარდა ასევე ფოკუს ჯგუფები, სადაც თემის ოცამდე წარმომადგენელმა და გადაწყვეტილებების მიმღებმა პირმა(მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პედაგოგებმა, ფერმერებმა თუ ბინზნესმენებმა) იმსჯელა წყალწმინდის მომავალთან დაკავშირებით მათი ხედვისა თუ მოსაზრების შესახებ. ამ ძალზე ინტერაქტიულ შეხვედრაზე ჩამოყალიბდა ე.წ. SVOT ანალიზი, სამომავლო განვითარების ხედვის და პრიორიტეტული მიზნების ჩამონათვალი.

სამომავლო გეგმებში, სხვა ქმედებათა შორის, ხაზგასმით აღინიშნა ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების და მუნიციპალური (სათემო) ინფრასტრუქტურით უკეთესი უზრუნველყოფის აუცილებლობა. ცხადი გახდა, რომ სოფლის მოსახლეობა კარგად აცნობიერებს არსებულ სირთულეებს და იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აუცილებელია სანაპიროს ამ რეგიონში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ტურისტული პოტენციალის ასამაღლებლად.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „2017-2021 წლების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალწმინდის სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“,

„ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძე**.

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე, **ჯუმბერ ბლაგიძე** თხოვნით მიმართა საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებს, რომ მათ დროულად და ოპერატიულად განიხილონ გრიგოლეთისა და წყალწმინდის სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმა და წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 14, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** თხოვნით მიმართა ბიუროს წევრებს, რომ საკრებულოს ყველა კომისიამ და ფრაქციამ დროულად განიხილოს 2017 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, რათა შენიშვნები და მოსაზრებები წერილობითი სახით ოპერატიულად მიეწოდოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ალექსანდრე სარიშვილს, რომ მან თავის მხრივ დროულად განიხილოს და დაამუშაოს ისინი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ როცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცდა, მასში 10 თვით იქნა დაფინანსებული ა(ა)იპ-ები. წლის ბოლოს ეს პრობლემა თავ იჩენს. მან რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ბიუჯეტში უნდა ყოფილიყო მუხლი წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის.

სხვადასხვა:

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე, **ჯუმბერ ბლაგიძე** აღნიშნა, რომ წინა საკრებულოს სხდომაზე დააყენა პრემიის გაცემის შესახებ საკითხი. დეპუტატმა მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რათა მან დაავალოს საკრებულოს აპარატის უფროსს საშობაოდ პრემიის გაცემის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ ფრაქციამ იმსჯელა და შემოვიდა ინიციატივით, რათა მომავალი 2017 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების

გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის სოციალურ პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას შემდეგი სახის პროგრამა:

სამედიცინო მომსახურების ფინანსური დახმარება:

1. არასაპენსიო ასაკის მქონე მოქალაქეებს, რომლებიც დაავადებულნი არიან კოქსარტოროზით და საჭიროებენ მენჯ-ბარძაყის პროტეზირებას, ხოლო მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 70 001-დან 100 001 ქულამდე, დახმარება განესაზღვროთ ოპერაციის ღირებულების 50 %-ით (უნაღლო ანგარიშსწორებით).


2. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების (გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების მომსახურება) ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსებით, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და /ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ, პაციენტის მიერ დარჩენილი სახელმწიფოს დაუფარავი სერვისების გადასახადი წილი 50 %-ით (უნაღლო ანგარიშსწორებით), პაციენტის მიერ გადასახდელი თანხა არაუმეტეს 1000 ლარისა.

აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი სავარაუდოდ განისაზღვრება 100 000 ლარით.

პროგრამის ამოქმედება გამოიწვევს მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას და შესაბამისად, ნაკლებ ფინანსურ დანახარჯს, კმაყოფილ მოქალაქეთა რიცხვის გაზრდას და საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ჯანდაცვაზე ზრუნვის სახელმწიფო პოლიტიკის სწორად და ეფექტურად გატარებას.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო